2) სეგმ-ის სპეცდანიშნულების პოლიეთილენის მთლიანობადარღვეული პაკეტი, შტრიხკოდით: „452999“ და წარწერით: „8 036190720002 22.07.2020 უკანა მარცხენა სავარძლის წინ ხალიჩიდან აღებულია 2 ც მოთეთრო ფერის სპორტული ფეხსაცმელი მ. გურზიანი (გაურკვეველი ხელმოწერა) პროკურორი: გ. სახიაშვილი (გაურკვეველი ხელმოწერა) მ. რამიშვილი (გაურკვეველი ხელმოწერა) ნ. ლეჟავა (გაურკვეველი ხელმოწერა) დ. გულბანი (გაურკვეველი ხელმოწერა) ლ. ჟვანია (გაურკვეველი ხელმოწერა) ფ. დენოზაშვილი (გაურკვეველი ხელმოწერა) მ. მალასიძე მ. გოგოლაძე (ორი გაურკვეველი ხელმოწერა) თეთრიწყაროს რ-ნი სოფ. მაწევანის მიმდ. ტერ. თავისუფლების უკანონო აღკვეთა მშობელი: ჯ. ბაჩალიაშვილი“. პაკეტში აღმოჩნდა თეთრი ფერის, ქაღალდის გახსნილი უწარწერო ორი კონვერტი, რომლებშიც ცალ-ცალკე მოთავსებულია წყვილი მოთეთრო ფერის, სპორტული ფეხსაცმელი. თითოეულ ფეხსაცმელში, თვითმკეტ პარკებში, წარწერით: „მარჯვენა“ და „მარცხენა“ მოთავსებულია მოთეთრო ფერის თასმები. მარჯვენა ფეხსაცმელშია მეტალის სარჭებით კიდებდამაგრებული ქაღალდი, წარწერით: „მარჯვენა ფეხსაცმლის შიდა ზედაპირიდან ამოღებული 1 ღერი თმა. ობ. N137.“ სპორტულ ფეხსაცმელზე (ბოტასებზე), გარე და შიდა ზედაპირზე, აღინიშნება ცალკეული, უპირატესად მრგვალი ფორმის, სხვადასხვა ზომის, სწორკიდეებიანი მოყავისფრო წერტილოვანი ლაქები, რამოდენიმე ე.წ. კუდიანი ლაქა, ცრემლის ფორმის ერთეული ლაქა და წანაცხები, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ და დახრილ ზედაპირებზე. აღნიშნული ატიპიური ლაქები არ წარმოადგენს შეფეხს და ნალღენის.

შენიშვნა: სპორტული ფეხსაცმელის აღწერილობითი ნაწილი წარმოდგენილია ბიოლოგიური ექსპერტიზის N004582820 დასკვნაში.

კვლევის დამთავრების შემდეგ, ნივთმტკიცება დაილუქა 08 (რვა) პაკეტად, ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტების მიერ, აქედან 02 (ორი) პაკეტი უზრუნველა სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტს.

ბირთვული დნმ-ის გამოყოფა [2,6,7]

ობ.N1-53-დან დნმ-ის ექსტრაქცია განხორციელდა Qiagen-ის QIAamp DNA Investigator Kit-ის გამოყენებით.

დნმ-ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება-RT-PCR [2]

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა რეალურ დროში მოქმედი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის ხელსაწყო 7500 RT-PCR (Applied Biosystems), ადამიანის დნმ-ის რაოდენობის განსაზღვრის ნაკრები (Investigator®Quantiplex®Pro Kit, QIAGEN), რეაქციის დასრულების შემდეგ, შედეგები გაანალიზდა პროგრამის "HID Real-Time PCR Analysis Software v.1.2" (Applied Biosystems) მეშვეობით.

შენიშვნა: ობ.N1,3-12,14-19,21,22,24-27,29-38,41-51-ში შემდგომი გენეტიკური კვლევისთვის საკმარისი, ადამიანის ბირთვული დნმ-ის, მინიმალური კონცენტრაცია არ აღმოჩნდა.



005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320

პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია - PCR [2]

პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისათვის გამოყენებულ იქნა ადამიანის დნმ-ის ტიპირებისათვის განკუთვნილი ნაკრები - AmpFSTR® Identifiler® Plus PCR Amplification Kit (Applied Biosystems), 15 STR და სქესის განმსაზღვრელი ერთი ლოკუსისათვის.

კაპილარული ელექტროფორეზი - CE [2]

ელექტროფორეზისათვის გამოყენებულ იქნა რვაკაპილარიანი ანალიზატორი 3500 Genetic Analyzer (Applied Biosystems), პროცესის წარმართვისათვის - სპეციალური კომპიუტერული პროგრამა "3500 Series Data Collection Software 2". შედეგები გაანალიზდა კომპიუტერული პროგრამის - Gene Mapper® ID-X მეშვეობით. ფეროგრამების შედეგი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

STR	ობ. N2	ობ. N13	ობ. N20,23, 28*,39,40	ობ. N53
D8S1179	13 14	12 13	13	13
D21S11	28 29 31,2	28 31,2	29 31,2	29 31,2
D7S820	8 11	9 11	8 11	8 11
CSF1PO	11 12	11 12	11 12	11 12
D3S1358	15 17	16 17	15 17	15 17
TH01	6 7 9	9	6 9	6 9
D13S317	10 11	10 11	11	11
D16S539	11 12	9 11	11 12	11 12
D2S1338	17 19 23	17 18	17 23	-
D19S433	13 14 15,2	13 14	14 15,2	14 15,2
vWA	18 19 20	18 19	19 20	19 20
TPOX	8 10	8	8	8
D18S51	12 17 20	12 17	12	12
AMEL	X (Y)	X	X	X
D5S818	11 12 13	11 13	11 12	11 12
FGA	19 20 23	19	19 20	19 20

გენეტიკური და სტატისტიკური ანალიზი

ობ. N20,23,39,40-ის გენეტიკური პროფილი და თამარ ბაჩალიაშვილის (ექსპერტის N004582820 დასკვნა) გენეტიკური პროფილი იდენტურია 15 STR ლოკუსით;

ობ. N53-ს გენეტიკური პროფილი და თამარ ბაჩალიაშვილის (ექსპერტის N004582820 დასკვნა) გენეტიკური პროფილი



005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320

იდენტურია 14 STR ლოკუსით;

ობ.N13-ის გენეტიკური პროფილი და თეონა თამაზაშვილის (ექსპერტის N005092220 დასკვნა) გენეტიკური პროფილი იდენტურია 15 STR ლოკუსით;

ობ.N52-ის გენეტიკური პროფილი, სავარაუდო დეგრადაციის გამო, პარციალურია და იდენტიფიკაციისათვის არაინფორმატიულია (ცხრილში არ არის წარმოდგენილი).

ობ.N2,28-ის გენეტიკური პროფილები შერეულია:

ობ.N2-ის პროფილის ერთ-ერთი წილი თამარ ბაჩალიაშვილის, მეორე წილი, თეონა თამაზაშვილისა და ჯუმბერ ბაჩალიაშვილის მამრობითი სქესის ბიოლოგიური შვილის (ობ.N18; ექსპერტის N004582820 დასკვნა) გენეტიკური პროფილის იდენტურია 15 STR ლოკუსით;

ობ.N28*-ის პროფილის მაჟორული წილი და თამარ ბაჩალიაშვილის გენეტიკური პროფილი იდენტურია 15 STR ლოკუსით; მინორული წილი ლოკუსებში გამოვლენილ ალელთა სიჭარბის გამო, გენეტიკური იდენტიფიკაციისათვის არაინფორმატიულია (ცხრილში არ არის წარმოდგენილი).

მსგავსების ალბათობა თითოეული ლოკუსისათვის გამოითვალა: ჰეტეროზიგოტისათვის $P=2p_1p_2$ და ჰომოზიგოტისათვის $P=p^2$ ფორმულებით. კავკასიურ პოპულაციაში თითოეული ალელის გავრცელების სიხშირე (p) აღებული იქნა „J.M. Butler “Forensic DNA Typing.” Appendix II ცხრილიდან. Pk კუმულაციური გამოითვალა ფორმულით: $P_k=P_1 \times P_2 \times \dots \times P_{15}$, მსგავსების თანაფარდობა - $LR=1/P_k$ [2].

თამარ ბაჩალიაშვილის გენეტიკური პროფილის მსგავსების თანაფარდობამ, ობ. N20,23,39,40-ის გენეტიკურ პროფილთან, ობ. N28-ის მაჟორულ და ობ. N2-ის ერთ-ერთ წილთან $7,16 \times 10^{18}$, ხოლო ობ.N53-ის პროფილთან $3,06 \times 10^{17}$, შეადგინა.

თეონა თამაზაშვილის გენეტიკური პროფილის მსგავსების თანაფარდობამ, ობ. N13-ის გენეტიკურ პროფილთან, $8,28 \times 10^{18}$ შეადგინა.

ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლი

გამოყენებული ქიმიური რეაგენტების სისუფთავისა და მათი ხარისხის შემოწმების მიზნით, საკვლევ დნმ ნიმუშებთან ერთად, გაანალიზებულ იქნა ექსტრაქციის ნეგატიური კონტროლი (ნიმუში, დნმ-ის გარეშე). საკვლევ ნიმუშებთან ერთად, ამპლიფიცირებულ იქნა მწარმოებლის მიერ მოწოდებული ადამიანის ცნობილი გენეტიკური პროფილის დნმ, როგორც პოზიტიური კონტროლი, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისა და ელექტროფორეზის სისტემის სწორად წარმართვის შესამოწმებლად. დნმ ანალიზის მთელი პროცესი მიმდინარეობდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ნინო ყოჩიაშვილი

ეკატერინე სხირტლაძე

ნანი ნანობაშვილი



005894320

დამატებით სისხლის სამართლის №036120720002 საქმეზე 27.10.20 წ. შემოვიდა დადგენილება დამატებითი კითხვით.

ქიმიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (სეებ) პაკეტი ნივთმტკიცებისათვის დალუქულ მდგომარეობაში. პაკეტის ლუქი და მთლიანობა დაურღვეველია. პაკეტზე აღნიშნება წარწერები: „FCI 425990 ქვემო ქართლის პოლიციის დეპ-ის დეტექტ სამმ. ნარკოტ. უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყ-ბა. დეტექტ-გამომდ.გია უსტარაშვილი ა/მანქანის სალონიდან ამოღებული 4 (ოთხი) ც. ხალიჩა ს.ს.საქმე N 036190720002 ექსპერტის დასკვნა N004582820 ექსპერტები ე.სხირტლაძე, ნ.ნაზიბაშვილი შენიშვნა 1004747420/1004803720/1004750720/ 1004802620“.

პაკეტი გაიხსნა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოში სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ჰისტოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროს მათა გოგიტაურის და სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტ ზურაბ გრიგოლაშვილთან ერთად.

პაკეტში მოთავსებულია სეებ-ის პაკეტი ნივთმტკიცებისთვის წარწერით: „FCI 452990 ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმ-ლოს ნარკ. საშ. უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყ-ბის დეტექტივ გამომძიებელი გია უსტარაშვილი ა/მანქანის სალონიდან 4 (ოთხი) ც. ხალიჩა ს.ს.საქმე N 036190720002 ექსპერტის დასკვნა N004375920 ექსპერტი თ.მგელაძე შენიშვნა რეგ №1004750720“. პაკეტში მოთავსებულია შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების პოლიეთილენის დალუქული პაკეტი, შტრიხკოდით: „FCI 452990“ და წარწერით: “პაკეტი N 11 ს.ს.ს. N 036190720002 ა/მანქანის სალონიდან 4 (ოთხი) ც. ხალიჩა გამომძიებელი მ.გურჩიანი პროკურორი გასახიზველი ექსპერტი ნ.ლევანა დ.გულბანი ლ.ჟვანია ფ.დევნოზაშვილი მ.მალასიძე მ.გოგოლაძე (ხელმოწერები). თეთრიწყაროს რ-ნი სოფ.მაწვეანის მიმდ. ტერ თავისუფლების უკანონო აღკვეთა მშობელი: ჯ.ბაჩალიაშვილი“.

პაკეტში მოთავსებულია 04 (ოთხი) ქაღალდის პაკეტი წარწერებით: ერთ პაკეტზე -“წინა მარცხენა“, მეორეზე-“წინა მარჯვენა 122-126, 127“, მესამეზე - “უკანა მარცხენა 118, 119, 120, 121, თმა“, მეოთხეზე - “ უკანა მარჯვენა 113-117“.

დამატებითი კითხვის თანახმად ქიმიურ კვლევას დაექვემდებარა პაკეტი წარწერით „უკანა მარჯვენა 113-117“, რომელშიც მოთავსებულია მორუხო ფერის ხალიჩა ზედა ზედაპირზე აღნიშვნებით-113, 114, 115, ქვედა ზედაპირზე (ეტიკეტის მხარეს) აღნიშვნებით-116, 117. ხალიჩის ზომა 44X45სმ. ხალიჩის უკანა-მარცხენა მეოთხედში, კუთხის მიმდებარედ, აღნიშვნა: უსწორო სამკუთხა ფორმის, ≈ 23X24X32 სმ ზომის, მოყვითალო-მორუხო ფერის „ლაქა“, რომელიც გამქდენთი ხასიათისაა და ამკვრივებს ხალიჩის ქსოვილს. ხალიჩიდან, აღნიშნული სამკუთხა ფორმის „ლაქა“-ს მიდამოდან (აღნიშვნის - „116“-ის მიმდებარედ), ქიმიური გამოკვლევისთვის ამოჭრილი იქნა არასწორი ხუთკუთხედი ფორმის ფრაგმენტი ზომით ≈ 15X9X15X6X21 სმ. აღნიშნული დაიჭრა მცირე ზომის ფრაგმენტებად და ჩაუტარდა ექსტრაქცია მეთანოლით ულტრაბგერით აბაზანაზე 30 წთ-ის განმავლობაში. გამონაწვლილი გაიფილტრა და ფილტრატი ამოორთქლდა მშრალ ნაშთამდე აზოტის ნაკადის ქვეშ. მშრალი ნაშთი გაიხსნა გამხსნელთა ფაზაში, გაიფილტრა 20 მკმ მემბრანულ ფილტრში და ფილტრატი გაანალიზდა აპარატზე სითხურ ქრომატოგრაფიული ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდით (LC-MS/MS).

აპარატი: Agilent technologies 1290 Infinity Agilent technologies 6460 Triple quad LC/MS
სვეტი, სტაციონარული ფაზა: Zorbax Eclipse plus C18 (100 X 2. 1 მმ, 1.8µm)
წინასვეტი: HPLC guard Zorbax Eclipse plus C18 (5 X 2. 1 მმ, 1.8µm)
სვეტის ტემპერატურა: 35° C
მოდრაფი ფაზა: 0.1 % HCOOH (H₂O) : 0.1 % HCOOH (CH₃CN) =95 : 5 (V/V), გრადიენტული რეჟიმი
მოდრაფი ფაზის სიჩქარე: 0.8 მლ/წთ
სკანირების რეჟიმი: MRM
იონიზაციის ტიპი: ESI +

თვისობრივი ანალიზი ჩატარდა მულტი რეაქციული მონიტორინგის (ტრანზაქციების) (MRM) ექსპერიმენტით.

ქიმიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ საკვლევ ობიექტში LC-MS/MS (MRM) კვლევებით აღმოჩნდა:

კადავერინი [M+ H], m/z : 103.1 →86.2;

სითხურ ქრომატოგრაფიული ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდის (LC-MS/MS) მულტი რეაქციული მონიტორინგის ექსპერიმენტის სპეციფიკურობა შემოწმებულ იქნა ნულოვანი ნიმუშის მიმართ.

შენიშვნა 1. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კვლევის შემდგომ დარჩენილი საკვლევი ობიექტი უბრუნდება ექსპერტიზის



005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320

დამნიშნავს 01 პაკეტად.

მაღაზა ჯობაძე

სასამართლო ჰისტოლოგიური გამოკვლევა

1. გამოკვლევითი ნაწილი: სასამართლო-ჰისტოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ნივთმტკიცებების პაკეტი დაღუპულ მდგომარეობაში წარწერით „FCD 1289168 საქ.შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპ. დეტექტივების სამმ. ნარკოტ. სამუალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყ. დეტექ.გამომმ.გია უსტარაშვილი 2 ც. პირბადი საქმე #036190720002 ექსპერტის დასკვნა #04582820 ექსპერტი სხირტლაძე, ნ.ნანობაშვილი შენიშვნა 1004747420/1004803720 1004802620/1004750720“. პაკეტში აღინიშნება მცირე ზომის პაკეტი ნივთმტკიცებისთვის წარწერით „FCD1289168 ქვ. ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმ. ნარკ. სამ. უკანონო ბრუნვის წინ. ბრძოლის განყ. დეტექტივი-გამომძიებელი გია უსტარაშვილი 2 ც. პირბადე საქმე #036190720002 ექსპერტის დასკვნა #004375920 ექსპერტი თ.მგელაძე რეგ.#1004750720“. ზემოაღნიშნულ პაკეტში მოთავსებული იყო მესამე პაკეტი ნივთმტკიცებისთვის წარწერით „FCD 1289168 პაკეტი #9 ს.ს.ს.# 036190720002 22.07.20 2 ც. პირბადე. გამომძიებელი მ.გურჩიანი პროკურორი გ.სახიაშვილი ექსპერტი ნ.ლეჟავა დ.გულბანი ლ.ქვანია ფ.დევენოზაშვილი მ.მაღასიძე მ.გოგოლაძე (ხელმოწერები). თეთრიწყაროს რ-ნი სოფ.მაწვეანის მიმდ. ტერ. თავისუფლების უკანონო აღკვეთა მშობელი:ჯ.ბაჩალიაშვილი“ პაკეტიდან ამოღებულ იქნა ორი ქაღალდის კონვერტი წარწერით: ერთზე „1 ც. პირბადე მაგნიტაფონის ქვევით ღია სათავსოდან“ კონვერტის ქვემო ნაწილში მითითებულია წარწერი „110,111“ (პირობითად კონვერტი I). მეორე კონვერტზე წარწერი „1 ც პირბადე სალონის მოპირკეთების სათავსოდან“ ქვემო ნაწილში წარწერა „112,112 ა“ (პირობითად კონვერტი II).

I კონვერტიდან ამოღებულ იქნა პირბადე - ერთი მხარე ცისფერია, მეორე თეთრი ფერის. ცისფერ ზედაპირზე, ერთ-ერთ კიდესთან აღინიშნება უსწორო ოვალურ ფართზე განლაგებული, არათანაბარი ინტენსივობის მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ერთეული წერტილოვანი, მომრგვალო და ოვალური ფორმის, არასწორი კონტურებით ლაქები საერთო ფართზე 2,5X3,5 სმ, მის ფონზე ბიოლოგიური კვლევისათვის ამოჭრილი უბნებით აღნიშვნით „110“ და „K“ - ობიექტი #1; ამავე ზედაპირზე შუა მესამედში, აღინიშნება მოყავისფრო მოყვითალო ელფერით წაგრძელებული ოვალური ფორმის ლაქა (ე.წ. „კუდიანი“ ლაქა) ზომით 0,4X0,15სმ - ობიექტი #2; ამავე ზედაპირზე, ობიექტი #1-ის მოპირდაპირე კიდესთან, აღინიშნება მოყავისფრო ფერის 0,9X0,9მმ ზომის წერტილოვანი მასა - ობიექტი #3. პირბადიდან აღებულია 3 ცალი ფრაგმენტი, რომელიც მოიცავს პირბადის მთელ სისქეს, პირობითად ობიექტები: #1 ზომებით 1X0,5 სმ, #2 ზომებით 2,5X0,7 სმ., #3 ზომებით 1X0,5 სმ. (იხილეთ ფოტოილუსტრაცია).

II კონვერტიდან ამოღებულ იქნა პირბადე - ერთი მხარე ცისფერია, მეორე თეთრი ფერის. ცისფერ ზედაპირზე, აღნიშვნა „112“-ის მიმდებარედ, ორ უბანზე, აღინიშნება სუსტი ინტენსივობის, ღია მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ლაქა მომრგვალო და ოვალური ფორმის, არასწორი კონტურებით ზომით 0,2X0,2 სმ. და 0,3X0,2 სმ. - პირობითად ობიექტი #4 და #5; პირბადის მთელი სისქიდან აღებულია 2 ცალი ფრაგმენტი: #4 ზომებით 1,6X1 სმ., #5 ზომებით 1,7X0,7 სმ. (იხილეთ ფოტოილუსტრაცია).

პრეპარატების დამზადების მეთოდი: აღებული ქსოვილოვანი ობიექტები გატარებულ იქნა მექანიკურად ვიზუალური კონტროლის ქვეშ ფორმალინის 10%-იან ხსნარში, 96° სპირტში 15-15 წთ, სპირტ-ქსილოლში-10 წთ, ქსილოლში - 5 წთ, ჰომოგენიზირებულ პარაფინში - 2სთ.30წთ. ობიექტების პარაფინში ჩაყალიბება განხორციელდა LEICA EG 1050H აპარატის საშუალებით, გამყინავი კამერის LEICA EG 1150 C გამოყენებით. Leica RM2245 მიკროტომის საშუალებით აღებულ იქნა ყველა პარაფინის ბლოკის სხვადასხვა სიღრმიდან სერიული ანათლები. დეპარაფინიზაციის ჩვეულებრივი მეთოდიკით ჩატარებისთვის (ქსილოლებით, სპირტ-ქსილოლებით) ქსოვილოვანი ანათლების ნაწილი არ დაფიქსირდა სასაგნე მინებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე პარაფინის ანათლები დატოვებულ იქნა თერმოსტატში 60° ტემპერატურულ რეჟიმზე პარაფინის მექანიკური წესით მრავალჯერადი მოცილებით ფილტრის ქაღალდით. ანათლების რუთინული ჰემატოქსილინ-ეოზინის მეთოდიკით შეღებვა მოხდა ქსილოლის და სპირტ-ქსილოლის გარეშე. პრეპარატების რაოდენობა - 104 პრეპარატი.

პრეპარატების გამოკვლევა ჩატარდა Daffodil MCX 100 ტრინოკულარული მიკროსკოპის გამოყენებით სხვადასხვა გადიდებაზე.

გადღებულია პრეპარატების მიკროფოტოსურათები ფოტოკამერით Leica DFC310 FX. ფოტო # 1-23. გამოკვლევის შემდეგ პირბადეები დაილუქა 1 პაკეტად.

პრეპარატების აღწერა:

პირბადეების პრეპარატები წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ბოჭკოვანი სტრუქტურებით - ნაწილი შეღებილია



005894320

არაერთგვაროვნად ბაზოფილურად მოცისფრო და მოიისფრო ფერში, პოლარიზაციული მიკროსკოპით ნეგატიურია, ნაწილმა კი თითქმის არ მიიღო ჰისტოლოგიური საღებავები, ოდნავ ოპალესცირდებიან და იძლევიან პოზიტიურ შედეგებს პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს. პირბადის ქსოვილის ყველა ობიექტების პარაფინის ბლოკებიდან სხვადასხვა სიღრმიდან აღებული სერიული პრეპარატების ბოჭკოთა შორის სივრცეში და ბოჭკოების გარეთ სისხლის ფორმიანი ელემენტები (შეუცვლელი ან დაშლილი) არ აღინიშნება.

გამოკვლევულ პრეპარატებში ადამიანის ორგანიზმისთვის დამახასიათებელი ქსოვილების და ორგანოების სტრუქტურული ელემენტები არ აღინიშნება.

ობიექტის #3 პირბადის სხვადასხვა პრეპარატებში აღინიშნება მწერის ნაწილები: სხეული სიგრძით 0,86 მმ და ფრაგმენტი ზომით 0,22X0,15 მმ (საქმის მასალების თანახმად „პირბადე მაგნიტაფონის ქვევით ღია სათავსოდან“).

დამატებით სისხლის სამართლის №036120720002 საქმეზე 27.10.20 წ. შემოვიდა დადგენილება დამატებითი კითხვებით.

2. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსთან-მალხაზ ჯოხაძესთან ერთად და სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის სამედიცინო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტ-ზურაბ გრიგოლაშვილთან ერთად მოხდა ნივთმტკიცების გახსნა. პაკეტში წარწერით „უკანა მარჯვენა“ მოთავსებულია მორუხო ფერის ხალიჩა ზედა ზედაპირზე აღნიშვნებით-113, 114, 115, ქვედა ზედაპირზე (ეტიკეტის მხარეს) აღნიშვნებით-116, 117. ხალიჩის ზომა 44X45სმ. ხალიჩის უკანა-მარცხენა მეთხედში, კუთხის მიმდებარედ, აღინიშნება: უსწორო სამკუთხა ფორმის, დაახლოებით 23X24X32სმ ზომის, მოყვითალო-მორუხო ფერის „ლაქა“, რომელიც გამყდენით ხასიათისაა და ამკვრივებს ხალიჩის ქსოვილს.

ხალიჩიდან, აღნიშნული სამკუთხა ფორმის „ლაქას“ მიდამოდან (აღნიშვნის - „116“-ის მიმდებარედ), სასამართლო-ჰისტოლოგიური გამოკვლევისთვის ამოჭრილი იქნა მართკუთხა ფორმის ფრაგმენტი ზომით 7,7X3 სმ.

პრეპარატების დამზადების მეთოდი: ნივთმტკიცებიდან ამოჭრილი იქნა 3 ობიექტი: პირობითად №1- „ლაქას“ მიდამოდან, №2- „ლაქას“ საზღვარზე და №3-„ლაქასგან“ თავისუფალი უბნიდან. ჰისტოლოგიური მასალის გატარება მოხდა მექანიკურად სპირტებში, სპირტ-ქსილოლში, ქსილოლში, პარაფინში ვიზუალური კონტროლის ქვეშ. ობიექტების პარაფინში ჩაყალიბება განხორციელდა LEICA EG 1050H აპარატის საშუალებით, გამყინავი კამერის LEICA EG 1150 C გამოყენებით. Leica RM2245 მიკროტომის საშუალებით აღებულ იქნა პარაფინის ბლოკის სხვადასხვა სიღრმიდან ანათლები. პარაფინიანი ანათლების დეპარაფინიზაცია და რუთინული ჰემატოქსილინ-ეოზინის მეთოდიკით შედგება მოხდა ავტომატურ რეჟიმში LEICA RM 4040 სტეინერზე. პრეპარატების რაოდენობა: 18.

გამოკვლევა ჩატარდა Daffodil MCX 100 ტრინოკულარული მიკროსკოპის გამოყენებით სხვადასხვა გადიდებაზე.

გადაღებულია პრეპარატების მიკროფოტოსურათები ფოტოკამერით Leica DFC310 FX. ფოტო #24-30.

პრეპარატების აღწერა:

ავტომობილის ხალიჩის (პაკეტზე წარწერით "უკანა მარჯვენა") პრეპარატები წარმოდგენილია ბოჭკოვანი სტრუქტურების სახით, რომელთა შორის აღინიშნება სხვადასხვა ზომის და ფორმის უცხო მიკრონაწილაკები. პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს ბოჭკოვანი სტრუქტურები და უცხო და მიკრონაწილაკები იძლევიან პოზიტიურ შედეგს. ადამიანის ორგანიზმისთვის დამახასიათებელი ქსოვილების და ორგანოების სტრუქტურული ელემენტები პრეპარატებში არ დიფერენცირდება.

მაია გოგიტაური

გამოყენებული იქნა აღნიშნულ საქმეზე ჩატარებული თ. ბაჩალიაშვილის გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერების ოქმის, თ. ბაჩალიაშვილის გვამის გამოკვლევის ექსპერტის დაკვნა №004232820 -ის მონაცემები და მიმდინარე ექსპერტიზის ფარგლებში ჩატარებული სასამართლო ქიმიური კვლევის, სასამართლო ჰისტოლოგიური გამოკვლევის, ბიოლოგიური კვლევის მონაცემები.

გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერების ოქმის მონაცემები (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი - 22.07.2020წ 13:35-19:20 სთ): მანქანის უკანა სავარძელზე მარჯვენა გვერდზე-ოდნავ უკან გადაწოლილ მდგომარეობაში ასვენია გვამი, ფეხები მუხლებში მოხრილია და გადაშვებულია სავარძლიდან ძირს, ტერფების მიმდებარედ ალაგია თეთრი ფერის ბოტასები



005894320

და წინა საქარე მინაზე ასაკრავი, მზისგან დამცავი ამრეკლი. გვამს მთელ სხეულზე და მასზე არსებულ ტანსაცმელზე ახვევია მოთეთრო მოყვითალო ფერის, სხვადასხვა ზომის მატლები და ბუზები. გვამს აცვია თეთრი ფერის, მოკლესახელოებიანი მორუხო მოყვითალო ფერის სითხით (ლპობითი) გაჟღენთილი მასიური, ასეთივე სითხით გაჟღენთილი ლიფი, შავი ფერის ჯინსის შარვალი და თეთრი ფერის წინდები. გვამს ასდის მყრალი, ლპობისათვის დამახასიათებელი სუნი; გვამის კანის საფარველი არის მოშავო, მორუხო ფერის, სველია ლპობითი სითხით; გვამი ხელის შეხებით ცივია და გვამური გაშემება მოხსნილია, გვამური ლაქები არ განირჩევა. ქუთუთოები და პირი ღიაა, თვალის კაკლები ჩაფუშულია; თვალბუდეებში, ცხვირის ნესტოებში და პირის ღრუში ახვევია მრავლობითი მატლები; გვამზე გარეგნულად, ტანსაცმლით დაუფარავ მიდამოებში, ფიზიკური დაზიანების რაიმე ნიშნები არ აღენიშნება. გვამი მოთავსდა შავი ფერის სპეციალურ ტომარაში და გაიგზავნა ქ. თბილისში - სეებ სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში.

თ. ზაჩალიაშვილის გვამის გამოკვლევის ექსპერტის დასკვნა №004232820 -ის მონაცემები (22.07.2020 წ. 21:30 სთ): „გვამის გარეგნული დათვალიერება: სასექციო მაგიდაზე, გვამის შავი ფერის ტომარაში მოთავსებულია და გულადმა მდგომარეობაში ასვენია სიგრძით 160 სმ, წონით 41 კგ. მდებარეობითი სქესის გვამი, რომელსაც აცვია: მოკლესახელოებიანი მასიური, ბიუსტპალტერი, ჯინსის შარვალი, ტრუსი, წინდები. მარცხენა წინამხარზე უკეთია შავი ფერის რეზინის ელასტიური ნაჭრის თმის სამაგრი. ტანსაცმელზე რაიმე დაზიანება არ აღინიშნება, ბიუსტპალტერი და შარვალი შეკრულია. ტანსაცმელი გაჟღენთილია მორუხო-მოყვითალო ფერის, მყრალი სუნის მქონე სითხით, რის გამოც მასიურის და წინდების დიდი ნაწილი მორუხო-მოყვითალო შეფერილობისაა. გვამს ტანზე (უპირატესად თავზე, სახეზე, კისერზე, ბეჭების და ქედების მიდამოში, ნაწილობრივ გულმკერდის წინა ზედაპირზე, წელის მიდამოში მარცხნივ, შორისის არეში) ახვევია დიდი რაოდენობით მოთეთრო-მოყვითალო ფერის, მყრალი სუნის მქონე სითხით, რის გამოც მასიურის და წინდების დიდი ნაწილი მორუხო-მოყვითალო შეფერილობისაა. გვამს ტანზე (უპირატესად თავზე, სახეზე, კისერზე, ბეჭების და ქედების მიდამოში, ნაწილობრივ გულმკერდის წინა ზედაპირზე, წელის მიდამოში მარცხნივ, შორისის არეში) ახვევია დიდი რაოდენობით მოთეთრო-მოყვითალო ფერის, 0,5-1,5 სმ სიგრძის ცოცხალი მატლები, რომელთა მიერ ნაწილობრივ განადგურებულია თავის და სახის რბილი ქსოვილები, თვალბუდეების რბილი ქსოვილები და თვალის კაკლები, პირის და ცხვირის ღრუს ლორწოვანი; წელის მიდამოში (უპირატესად მარჯვნივ), გულმკერდის უკანა ზედაპირზე (მარჯვნივ), ბეჭედა და ქედის მიდამოში (ორმხრივ) მატლები განლაგებულია ჯგუფად (კოლონიებად), აღნიშნულ მიდამოებში კანზე და კანქვეშა რბილ ქსოვილებზე აღინიშნება მწერების მოქმედების კვალი, რომელთა სანათურში აღენიშნება მატლები. (შენიშვნა: აღნიშნულ მიდამოების შესაბამისად, ხერხემლის გასწვრივ შესრულებულ განაკვეთზე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები არ აღინიშნება - იხილეთ შინაგანი გამოკვლევა). გვამი ხელის შეხებით ცივია. კანის საფარველი უპირატესად მორუხო-მოშავო-მოყავისფრო-მოყვითალო ფერისაა, დუნდულოების და ბარძაყების ზემო შესამედებში მოთეთრო-მორუხოა. მტევნების, ტერფების თითები, წვივების და მუხლის სახსრების კანი გამომშრალია, ალაგ მოშავოა და მოყვითალო შეფერილობის. გარდა გამოშრობის მიდამოებისა, გამოხატულია გვამური ემფიზემა. გვამს გულმკერდის, მუცლის, ბარძაყების წინა ზედაპირებზე, ასევე ორივე მხრის და მარცხენა წინამხრის გარეთა ზედაპირებზე და გამოხატული აქვს ლპობითი ვენური ზადე. გვამური გაშემება მოხსნილია. ხელის შეხებით კანის ზედაპირული შრე ადვილად სცილდება, ალაგ აცლილია. ქუთუთოები ღია, თვალის კაკლები ჩაფუშულია. პირი ღიაა, ენა შესიებულია და პირის ღრუში მდებარეობს. გარეთა სასქესო ორგანოები ჩვეულებრივად ფორმირებული. თავზე თმოვანება შერჩენილი აქვს მხოლოდ შუბლის მიდამოში, სხვა მიდამოებში მოცილებულია და მიმდებარედ მდებარეობს. შერჩენილი თმოვანება ხელით გასინჯვით ადვილად სცილდება კანის საფარველს. კისერი საშუალო სიმაღლის, გულმკერდი ცილინდრული, მუცელი ოვალური. ხელის შეხებით სახეში, გულმკერდში და კიდურებში შემავალი ძვლები მთელია. ბუნებრივი ხერხელები თავისუფალია რაიმე გამონადენისაგან. საშოს შესავალში, ღრუში და ანუსში აღინიშნება მრავლობითი მატლები, რომელთა მიერ განადგურებულია საქალწულე აპკი, საშოს და ანუსის ლორწოვანი და ნაწილობრივ ანუსის და საშოს რბილი ქსოვილები. აღნიშნულ მიდამოებში მექანიკური დაზიანებები არ აღინიშნება. ... **სასამართლო სამედიცინო დიაგნოზი:** გვამისა და შინაგანი ორგანოების მკვეთრად გამოხატული შორსწასული ლპობითი ცვლილებები: გამოხატული ლპობითი ვენური ზადე და ლპობითი გვამური ემფიზემა, თმოვანი საფარველის სრულად მოცილება, ეპიდერმისის აშრეება-მოცილება, მტევნების, ტერფების თითების, წვივების და მუხლის სახსრების კანის გამოშრობა; მრავლობითი მატლების არსებობა სხეულზე და მათ მიერ ნაწილობრივ თვალბუდეების რბილი ქსოვილების და თვალის კაკლების, ცხვირის და პირის ლორწოვანის, ანუსის და საშოს რბილი ქსოვილების, საქალწულე აპკის, ასევე სახის რბილი ქსოვილების და თავის ქალას რბილი საფარის განადგურება.“

სასამართლო ქიმიური კვლევით - “ბიოლოგიური ექსპერტიზის N004582820 დასკვნაში მითითებული ავტომანქანის უკანა მარჯვენა ხალიჩაზე არსებული მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ლაქები“ შეიცავს ცილების ფერმენტაციული ლპობის შედეგად წარმოქმნილ დიამინის კლასის ორგანულ ნივთიერებას კადავერინს (პენტამეთილენდიამინი).

სასამართლო ჰისტოლოგიური გამოკვლევით - ავტომობილის ხალიჩის (პაკეტზე წარწერით "უკანა მარჯვენა") გამოკვლეულ პრეპარატებში ადამიანის ორგანიზმისთვის დამახასიათებელი ქსოვილების და ორგანოების სტრუქტურული ელემენტები არ დიფერენცირდება.

ბიოლოგიური კვლევით - ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტომანქანის უკანა მარჯვენა ხალიჩის ქვედა ზედაპირზე, თითქმის მეთოხედ ნაწილზე, არსებული მოყავისფრო-მოყვითალო ფერის ლაქები, შეიცავს როგორც ადამიანის ცილას, ისე პორფირინს (უჯრედის პიგმენტი, შედის ჰემოგლობინისა და მيوგლობინის შემადგენლობაში), რომლებიც ბიოლოგიურ ექსპერტიზაში, სისხლის აღმოსაჩენად გამოიყენება. სისხლის შემადგენელი ერთობლივების მემბრანის სიალოგლიკოპროტეინი - Glicophorin A, სავარაუდოდ დეგრადირებულია. ბიოლოგიური მასალის გენეტიკური პროფილი



005894320

ეკუთვნის თამარ ბაჩალიაშვილს.

სიკვდილის დადგომის და გულის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ სისხლი და ლიმფა სიმძიმის გამო იწეებს დალექვას გვამის ქვემდებარე ნაწილებში განლაგებულ სისხლის მილებსა და ლიმფურ სადინარებში. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ ლიმფა და უჯრედშუა სითხე დიფუზიის მეშვეობით თანდათანობით შედის სისხლძარღვებში, განაზავებს სისხლისა და პლაზმას და აუტოლიზურ პროცესებთან ერთად იწვევს სისხლის ფორმიანი ელემენტების დაშლას (ჰემოლიზს). სისხლძარღვებში არსებული თხიერი ნაწილი დიფუზიის მეშვეობით ტოვებს სისხლძარღვებს და ჟღენთავს ირგვლივ მყოფ ქსოვილებს. კანი იყვინთება სითხით, რომელიც შედგება ძირითადად ლიმფის, უჯრედშუა სითხისა და სისხლძარღვებიდან გამოსული პლაზმისაგან.

ლპობა ხრწნის რთული მიკრობიოლოგიური პროცესია, რომელსაც იწვევს აერობული და ანაერობული მიკრობები. მიკრობების მიერ გამოყოფილი ფერმენტები იწვევენ ორგანული ნივთიერებების (ცილების) დაშლას შუალედურ და საბოლოო პროდუქტებამდე, მათ შორის "პუტრესცინი" და „კადავერინი“, რომლებიც ასოცირდება გვამის ლპობის (ხრწნის) პროცესთან.

ლპობის მიმდინარეობისას გამოიყოფა აირები და სითხე. ისინი აშრევენ კანის რქოვანა გარსს, რასაც მივყავართ ე.წ. ლპობითი ბუშტუკების წარმოქმნამდე. თავიდან ბუშტუკები წარმოიქმნება დამრეც ადგილებში ქვემდებარე ზედაპირებზე, დასაწყისში აქვს ჰემოლიზირებული სითხით სავსე წვრილი ბუშტუკების შესახედაობა, დიამეტრით 0,2-0,5სმ, შემდეგ მათი ზომები მატულობს, ისინი ჩნდება სხეულის სხვა ზედაპირებზეც. ბუშტუკები, რომლებიც მდებარეობენ სხეულის ზემოთ მიმართულ ზედაპირებზე ამოვსებულია აირებით, სხეულის ქვემდებარე ზედაპირებზე - სითხით. მოცულობის მატების გამო ბუშტუკების სკდება, ეპიდერმისისგან გაშიშვლებული უბნების ფსკერი შრება.

ლპობის შედეგად გვამი მუდმივად კარგავს სითხეს, რომელიც გამოჟონავს კანიდან და გამოდის ბუნებრივი ხვრელებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ლაქა წარმოადგენს ხალიჩაზე მოხვედრილი გვამური (თ. ბაჩალიაშვილის გვამის) თხიერი ლპობითი მასის გამოშრობის შედეგს.

ზურაბ გრიგოლაშვილი

გამოყენებული მასალები

1. ბიოლოგიური კვლევის პროტოკოლების სახელმძღვანელო (BIO-TM), 2019, ვერსია 2.
2. STR-პროტოკოლების სახელმძღვანელო (DNA-TM), 2019, ვერსია 2.
3. David Rivers and Theresa Geiman. Department of Biology, Loyola University Maryland, Baltimore. Insect Artifacts Are More than Just Altered Bloodstains. Review, Insects, MDPI. 28 March 2017.
4. Kulstein, G.; Amendt, J.; Zehner, R. Blow fly artifacts from blood and putrefaction fluid on various surfaces: A source for forensic STR typing. Entomol. Exp. Appl. 2015, 157, 255–262.
5. Striman, B.; Fujikawa, A.; Barksdale, L.; Carter, D.O. Alteration of expired bloodstain patterns by Calliphora vicina and Lucilia sericata (Diptera: Calliphoridae) through ingestion and deposition of artifacts. J. Forensic Sci. 2011, 53, S123–S127.
6. E. Di Luise a, P. Magni b, N. Staiti a, S. Spitaleri a, C. Romano. Genotyping of human nuclear DNA recovered from the gut of fly larvae. Forensic Science International: Genetics Supplement Series 1 (2008) 591–592.
7. Carlo P. Campobasso, Jason G. Linville, Jeffrey D. Wells and Francesco Introna. Forensic Genetic Analysis of Insect Gut Contents. The American Journal of Forensic Medicine and Pathology. Volume 26, Number 2, June 2005, 161-165.



005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320

8. Karl A. Oetjen , Oscar G. Cabrices , Christopher Borton , Seyed A. Sadjadi , Scott Krepich and Ty Garber. Streamlined Quality Assurance Workflow to Quantitate Biogenic Amines using LC-MS/MS Technology. 2018 AB Sciex. For Research Use Only, Document number: RUO-MKT-02-8894-A
9. Wilhelmina H. A. de Jong, Elisabeth E.G. de Vries, Ido Kema. Current status and future developments of LC-MS/MS in clinical chemistry for quantification of biogenic amines Clinical biochemistry, 2010, 44(1):95-103
10. სასამართლო მედიცინა. ბესარიონ კილასონია. თბილისი. 2011
11. სასამართლო მედიცინა. თეიმურაზ გორდელაძე. 2008
12. Forensic Pathology. Second Edition. Vinsent J. DiMaio; Dominick DiMaio. 2001
13. Forensic Pathology. Principles and Practice. David Dolinak, M.D. Evan W. Matshes, M. D. Emma O. Lew, M.D. 2005
14. Spitz and Fisher's MEDICOLEGAL INVESTIGATION OF DEATH Guidelines for the Application of Pathology to Crime Investigation FOURTH EDITION. 2006
15. Forensic Medicine of the Lower Extremity. Editors: **Rich**, Jeremy, **Dean**, Dorothy E., **Powers**, Robert H. (Eds.). Chapter 1 - The Decomposition of Human Remains. Robert H. Powers, PhD.2005
16. Simpson's Forensic Medicine. Twelfth Edition.2003
17. Руководство по судебной медицине под редакцией В.В. Томилина, Г.А.Пашиняна. 2001.
18. ОПРЕДЕЛЕНИЕ ДАВНОСТИ НАСТУПЛЕНИЯ СМЕРТИ ПО ОСОБЕННОСТЯМ ДИНАМИКИ ПОЗДНИХ ТРУПНЫХ ИЗМЕНЕНИЙ Шевченко И.Н. , Голубович Л.Л. , Куртев А.В. 2012.
19. РУКОВОДСТВО по СУДЕБНО-МЕДИЦИНСКОЙ ЭКСПЕРТИЗЕ ТРУПА. А.А.Солохин, Ю.А.Солохин. 1997



005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მალხაზ ჯოხაძე

მ. ჯოხაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მაია გოგიტაური

მაია გოგიტაური

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: გიორგი ცინცაძე

გიორგი ცინცაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ნინო ყოჩიაშვილი

ნინო ყოჩიაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ნინო ყოჩიაშვილი

ნინო ყოჩიაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: პაატა თუშურაშვილი

პ. თუშურაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ნინო კიკაბიძე


ნინო კიკაბიძე




005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320


ფოტოილუსტრაცია




ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3




ფოტო 4




005894320


ექსპერტის დასკვნა № 005894320



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320




ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



005894320


ექსპერტის დასკვნა № 005894320




ფოტო 13



ფოტო 14




ფოტო 15 - პირბადის ქსოვილი შეღებული H-E




ფოტო 16 - პირბადის ქსოვილი შეღებული H-E




005894320



ფოტო 17 - პირზადის ქსოვილი პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს.




ფოტო 18 - პირზადის ქსოვილი შეღებილი H-E



ფოტო 19 - პირზადის ქსოვილი პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს.



ფოტო 20 - პირზადის ქსოვილი შეღებილი H-E




ფოტო 21 - პირბადის ქსოვილი პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს. ფოტო 22 - მწერის ფრაგმენტები პირბადიდან ობიექტში #3. H-E.




ფოტო 23 - მწერის ფრაგმენტები პირბადიდან ობიექტში #3. H-E. ფოტო 24 - ავტომობილის ხალიჩიდან ამოჭრილი ობიექტი ჰისტოლოგიური გამოკვლევისთვის.




005894320




ფოტო 25 - ავტომობილის ხალიჩის ობიექტი #1. H-E.



ფოტო 26 - ავტომობილის ხალიჩის ობიექტი #1 პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს.




ფოტო 27 - ავტომობილის ხალიჩის ობიექტი #2. H-E.



ფოტო 28 - ავტომობილის ხალიჩის ობიექტი #2 პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს.




005894320



ფოტო 29 - ავტომობილის ხალიჩის ობიექტი #3. H-E.

ფოტო 30 - ავტომობილის ხალიჩის ობიექტი #3 პოლარიზაციული მიკროსკოპის დროს.



ფოტო 31

ფოტო 32




005894320


ექსპერტის დასკვნა № 005894320



ფოტო 33



ფოტო 34



ფოტო 35



ფოტო 36




005894320


ექსპერტის დასკვნა № 005894320




ფოტო 37



ფოტო 38



ფოტო 39



ფოტო 40




005894320


ექსპერტის დასკვნა № 005894320



ფოტო 41



ფოტო 42



ფოტო 43




ფოტო 44




005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320



ფოტო 45

ფოტო 46



ფოტო 47

ფოტო 48



005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320



ფოტო 49



ფოტო 50



005894320



ფოტო 51




ფოტო 52




005894320

ექსპერტის დასკვნა № 005894320




ფოტო 53



ფოტო 54



005894320




ფოტო 55




ფოტო 56

ობიექტში კადავერინის LC-MS/MS ქრომატოგრამა



წულღვანი ხსნარის LC-MS/MS ქრომატოგრამა



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტიდოპინგის და სამართლებრივი პროგრამა (INL Program):

სსიპ ექსპერტიზის ცენტრის სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის მიერ დაარსებული ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტიდოპინგის და სამართლებრივი პროგრამა (INL Program).

INL-ის დახმარებით იქონიერებულია რეგულარული ბიუროს ცენტრალური ოფისი, სხვადასხვა ბიუროს დამატებითი და სხვადასხვა დამატებითი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის მიერ დაარსებული პროგრამის დახმარებით. INL-ის დახმარებით შედგენილია ბიუროს ექსპერტიზის დასრულებული პროგრამის განხორციელების მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ის ასევე ბიუროს აქტიურად უწევს უწყვეტ განხორციელებას სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის მიერ დაარსებული პროგრამის დახმარებით. INL-ის დახმარებით შედგენილია ბიუროს ექსპერტიზის ცენტრის დასრულებული პროგრამის განხორციელების მეთოდების შესწავლის მიზნით.



სასამართლო ექსპერტიზის განვითარებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ბიუროს დამატებითი განვითარებული ახიან სასამართლო ექსპერტიზის განვითარებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფები:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქსაღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ბიუროს განვითარებული დამატებითი აქტიურად მონაწილეობენ ENFSI-ის სამუშაო ჯგუფების მიერ დახმარებული სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის დასრულებული პროგრამის განხორციელების მეთოდების შესწავლის მიზნით.



ჰოლანდიური სასამართლო ექსპერტიზის დახმარებითი პროგრამა - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქოლოგიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქოლოგიაში“ ფონდის დახმარებით დაარსებულია და აქტიურად მონაწილეობს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ბიუროს ფსიქოლოგიური ექსპერტიზის განვითარების დახმარებით.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტიზის ცენტრის მიერ დაარსებული პროგრამის დახმარებით დასრულებული პროგრამის განხორციელების მეთოდების შესწავლის მიზნით.




თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს მიერ დაარსებული პროგრამის დახმარებით დასრულებული პროგრამის განხორციელების მეთოდების შესწავლის მიზნით.



სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროს ცენტრი (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ბიუროს დასრულებული პროგრამის დახმარებით დასრულებული პროგრამის განხორციელების მეთოდების შესწავლის მიზნით.



აგრომედიკალური ექსპერტიზის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ბიუროს დასრულებული პროგრამის დახმარებით დასრულებული პროგრამის განხორციელების მეთოდების შესწავლის მიზნით.

